სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №14

ქ. ბათუმი **23 თებერვალი 2021 წ.**

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ. ,,ბათუმის სასაფლაოები“ (ს/კ 445413516) (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ჯუმბერ კობალაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE” (ს/კ 445427119) (შემდგომში „მიმწოდებელი”) დირექტორის სალომე კიკვაძის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ს[1]'' ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ოფისისთვის საკანცელარიო საქონელის შესყიდვა, დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. შესყიდვის კატეგორია: **cpv- 30100000-315,00 ლარი**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 315.00 (სამას თხუთმეტი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3 დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიღების და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენეობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მოწოდებულ საქონელზე.

4.4 საქონელი ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის მოწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება
6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ბათუმის სასაფლაოების" სამეურნეო განყოფილების მთავარი სპეციალისტი იოსებ აბაშიძე (პ/ნ 61001010791).
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული სააქონლის ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. საქონლის მოწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 საქონლის მოწოდების მოხდება ეტაპობრივად 2021 წლის 1 მარტამდე პერიოდში.

11.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

,,შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი“
ა(ა)იპ ,,ბათუმის სასაფლაოები“ ს/კ 445413516	**შპს პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE** ს/კ: 445 427 119
მის: ქ. ბათუმი მაიაკოვსკის № 23 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ნ:	მის: ქ. ბათუმის გოგებაშვილის ქ. # 50 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი” ბანკის კოდი: MIBGGE22 ა/ნ GE13PC0193600100011836
დირექტორი : ჯუმბერ კობალაძე	**დირექტორი: სალომე კიკვაძე**

დანართი 1

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	cpv
1	კარტრიჯი P1005/P1102/M1132/1212NF/LBP6000	ცალი	2.00	30.00	60.00	30125100
2	კარტრიჯი HP LJ PRO MFP M225/125/127/201 283A	ცალი	2.00	30.00	60.00	30125100
3	კარტრიჯი HPLJP1536/1560/1606CE278/CANONMF4410/457U	ცალი	2.00	30.00	60.00	30125100
4	ქსეროქსის ქაღალდი A4 DOUBLE A 80გრ (500ფ)	ცალი	10.00	13.50	135	30197630
	ჯამი:				**315.00**	